პროექტი

საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28, 18.07.2007, მუხ. 280) მე-6 მუხლის:

ა) 1^2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1^2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 45^1 ან 100^2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისთვის ჩამორთმეული უფლების/უფლებების მოპოვება დასაშვებია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.“;
ბ) 1^3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2
1. ის პირი, რომელსაც 2025 წლის 10 დეკემბრამდე ჩადენილი აქვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით ან/და 273-ე მუხლით განსაზღვრული სისხლის სამართლის დანაშაული, ერთჯერადად აღუდგეს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონშის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნეტით გათვალისწინებული უფლება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი უფლების აღდგენის მიზნით მიმართავს თავდაპირველი განაჩენის გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში.
3. ამ მუხლის პირველი პუნტით გათვალისწინებული უფლების აღდგენა დასაშვებია სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის) დასკვნის წარდგენის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, რაც უფლების აღდგენის შესახებ მიმართვასთან ერთად წარედგინება სასამართლოს.
4. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლო უფლების აღდგენის შესახებ საკითხს განიხილავს მიმართვიდან 5 კვირის ვადაში.

მუხლი 3
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**